მორწმუნე კაცს არ უნდა სძულდეს მორწმუნე ქალი. თუ მასში რომელიმე თვისება არ მოსწონს, სხვა თვისებაში კმაყოფილებას უნდა პოულობდეს

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მორწმუნე კაცს არ უნდა სძულდეს მორწმუნე ქალი. თუ მასში რომელიმე თვისება არ მოსწონს, სხვა თვისებაში კმაყოფილებას უნდა პოულობდეს» ან თქვა:«სხვა მის გარდა».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუკრძალა ქმარს, რომ სიძულვილით მოექცეს თავის ცოლს ისე, რომ ეს სიძულვილი მასზე ძალადობას, მიტოვებას ან გულგრილობას გამოიწვევდეს; ადამიანი ბუნებით არასრულყოფილია. თუ ქმარს ცოლში რაიმე არასასურველი თვისება არ მოსწონს, მასში აუცილებლად იპოვის სხვა კარგ თვისებას. ამიტომ, უნდა იყოს კმაყოფილი იმ კარგით, რაც მის გულს აკმაყოფილებს და მოთმინებით მიიღოს ის ცუდი, რაც მისთვის არასასურველია. ეს მიდგომა ქმარს აიძულებს მოთმინებას და ხელს უშლის ცოლის მიმართ ისეთ სიძულვილს, რაც განშორებას გამოიწვევს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3071

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee